# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 5. | კვირა, 9 სექტემბერი, 1901 წ | გაზეთის № 1577.




იოანე ბატონიშვილი



ფარნაოზ ბატონიშვილი

## ვაი გულისაგან

მიძინებულ სოფლის ბოლოს, ზამთრის ღამის წყვდიადში პაწაწინა ლამპა ოდნავ ანათებდა ღარიბად მორთულ ოთახს. ნახევრად ჩამონგრეულ ბუხარში საცოდავად ბჟუტავდა ცეცხლი. დახშული ნესტი როგორღაც სიკვდილის მომაგონებელ სუნით ქღენთავდა ჰაერს. სიკვდილის სურათს კიდევ უფრო აცხოველებდა ავადმყოფის სუსტი კვნესა და ქარის სამგლოვიარო ზარის მსგავსი ნელი, ერთ ხმოვანი ზუზუნი. იანვრის სუსხიანი სიცივე უხვად შემოდიოდა ხის კედლის და ჭერიატაკის ურიცხვ ჯუჯრუტანებიდან. ავადმყოფს საბანი გადაეხადა, შიშველა კისერი განზე მოეღერა და ხელებსა და ფეხებს გაჭირვებით აწყვეტდა საბნის გარეთ. ეტყობოდა, სიცხის ალმურში იწვოდა საბრალო. ვებერთელა შავი თმა აბურთოდა თავზედ, როგორც უბედურების მომასწავებელი შარავანდედი. დავიწროებული თვალები ღრმად ჩამჯდარიყვნენ კალაპოტში და სიბრალულის აღმძვრელ უძლურებით გამოიცქირებოდნენ. სახეზედ არც ერთი საიმედო ხაზი, არც ერთი ნიშან-წყალი სიცოცხლისა არა ჰქონდა, თითქოს სანთლისგან გამოქნილი ქანდაკებაა. შეუბრალებელი ჭლექი ბოლოს ულებდა ვარდივით გადაშლილ ოცნება-იმედებით აღსავსე ოცდახუთი წლის ნინოს.



თეიმურაზ ბატონიშვილი

— ვანო... წყალი!—დაიჩურჩულა ავადმყოფმა მინელებულის ხმით და გადახედა იქვე, ლოგინის წინ მჯდომარე ყმაწვილ კაცს. ვანო წამოხტა და მიაწოდა ჭიქით წამალი, რომელიც ავადმყოფმა ისე ხარბად გადაყლაპა, უთუოდ ვერც კი გაარჩია, წყალი იყო თუ სხვა რამე. წამალმა რამდენამდე მოაღონიერა და გამოარკვია, მაგრამ თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ აღძვროდა სიცოცხლის იმედი, კიდევ ერთხელ მოტყუებულიყო ამ იმედით და მით უფრო მწვავედ ეგრძნო თვისი უმწეობა, სიკვდილის მოახლოვება. წუთს შემდეგ ისევ ცუდად გახდა. ხანგრძლივმა ხველებამ ჭირის ოფლი გადაახეთქა, სიცხემაც უმატა და დააწყებინა უთავ-ბოლო ბოდვა, რომელშიაც ვანოს-ლა სახელი გამოისმოდა გარკვევით.

ვანო იჯდა ლოგინის წინ და შუბლ-შეკრული, ფერ-მიხდილი მიშტერებოდა სადღაც შორს უხილავ წერტილს. ყოველი ოხვრა ავადმყოფისა ლახვარივით ესობოდა იმის გულს, უზომო მწუხარება, შიში და სასოწარკვეთილება—აი რა იხატებოდა ამ წუთში იმის ტანჯულ სახეზედ. ვანოს მწუხარება უზომო იყო. ის ნინოსთან ერთად ჰკარგავდა ყველაფერს, რითაც სიცოცხლეს

მისთვის აზრი და ფასი ჰქონდა, და თუმცა უკვე დაჰკარგა იმედი იმის სიცოცხლისა, მაგრამ ჩასისხლიანებულ თვალებზე ცრემლი აღარ ეკარებოდა, რადგანაც მისი მწუხარება ყოველნაირ ცრემლზე უფრო მწარე და მძიმე იყო.

აი ოთხი დღე და ღამეა, რაც ვანო ზის ამ ლოგინის წინ უძილო და უჭმელი, მაგრამ ვერც ეხლა ჰგრძნობს შიმშილს და დაღალულობას, რადგანაც აწმყო და მისი გრძნობა-მოთხოვნილებანი არ არსებობენ ახლა იმისთვის. მთელი მისი აზრი, მთელი მისი არსება მიქცეულია მომავალისაკენ. ფიქრობს იმაზე, თუ რა იქნება მისი სიცოცხლე ნინოს შემდეგ, და ერთი მეორეზე უფრო უიმედო, ერთი მეორეზე უფრო შავი სურათები ეხატება გონებაში. მომავალმა ნელ-ნელა უკან გამოაბრუნა და გადაათრინა შორეულ წარსულისაკენ, სადაც იმდენი ტკბილი, იმდენი ბრწყინვალე მოგონება ჰქონდა დამარხული. ჩვეულებრივის სისწრაფით გარბიან ვანოს გონებაში წარსულის ნაწყვეტები. მოაგონდა მხიარული ბავშობა, თავისი თავი—ფუნჩულა ვანუა და ნინო—მაშინ ცელქი, მალხაზი ნინუცა, ორივენი ერთის ხნისა, დედის-ერთანი და განებივრებულნი. მთელი დღე ერთად დახტიან, ერთად თამაშობენ, ერთი და იგივე საგნები უყვართ. რამდენად სხვა და სხვაა „ბრძენი“ ვანუას და „ქაჯუნა“ ნინუცას ხასიათი, იმდენად მუდმივი და შეურყეველია მათ შორის თანხმობა და მეგობრობა. სხვა ტოლები ახლო არავინ არის, რომ შუა ჩაუდგეს მათს დაახლოვებას. არ უშლიან ამ დაახლოვებას არც მშობლები, რადგანაც მეზობლები და კეთილ-განწყობილი მეგობრები არიან ერთმანეთში. მართალია, ვანო გლეხებიდან გამომტყვრალის მღვდლის შვილი იყო და ნინუცა კი მეგრელი აზნაურის ქალი და ეს განსხვავება ოდიშელის თვალში სახუმრო არ არის, „აბა სად გლეხუჭა გუცესი და სად შთამამავლობით აზნაური შვილიო!“—ხშირად იტყოდნენ მეზობლები ვანოს მამის დიდკაცობის აღსანიშნავად, მაგრამ პატარების მეგობრობა მშობლებს არ სწყინდა.

წამოიზარდნენ. ვანო სკოლაში გაგზავნეს. ბევრი იტირეს პატარებმა, ეძნელათ განშორება, მაგრამ მეტი ღონე აღარ იყო. ბეჯითად სწავლობდა ვანო, სურდა მშობლები გაეხარებინა, რომ შინ დაბრუნებისას არ დაეშალნათ ნუცასთან თამაშობა. ნინუცაც ხილს უნახავდა ვანოს, რომ საშობაოთ დაეხვედრებია. როცა დაბრუნდა ვანო, ნინუცას მშვენიერი დედოფალა მიუტანა. ელვის სისწრაფით გაიარა დღესასწაულებმა, დადგა ისევ განშორება, ისევ ტირილი, ოცნება და ნახვის მოლოდინი.



კავკასიის გამოფენა. უმთავრესი პავილიონი.

ვანო სასულიერო სასწავლებელში იყო. სწავლის გემო აღებული ჰქონდა და უნდოდა ნინუცასთვისაც გაეზიარებინა თავისი ცოდნა. მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა საზაფხულოდ შინ დაბრუნებულმა გაიგო, რომ ნინუცას უკვე უსწავლია დედისაგან ქართული წერა-კითხვა. ამ დღიდან ვანო თვითონ შეუდგა ნინუცას სწავლება-განვითარებას. ის შრომობდა, წვალობდა, ოფლში იწურებოდა, რომ ჯერ მეგრულად და შემდეგ ქართულად გადაეცა ნინუცასთვის ის, რაც თვითონ წაუკითხავს სახელმძღვანელოებში. ნინუცაც ბეჯითად ყურს უგდებდა მის აღტაცებულ ტიტინს და თან და თან მოსწონდა ამგვარი მუსაიფი. წლების განმავლობაში უფრო და უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო ამ პირველად ბავშვურმა ჩხირ-კედელაობამ დაგარდა იმისა, რომ ნინუცას ბევრი რამე ახალი შესძინა და წიგნაკების კითხვა შეაყვარა, თვით ვანოსაც უტყუარი მეგობრობა მოუტანა, რადგანაც სამშობლო ენაზედ განმარტებით შეა-



კავკასიის გამოფენა. დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის კაბინეთი.

თვისა ის ცოდნა, რომელიც მის ამხანაგებს კაჰკაჰური შეუგნებლობით ჰქონდათ გაზეპირებული.

აი სასულიერო სემინარიაში გადავიდა ვანო. პატარაობითვე შრომას მიჩვეული, ხარბად ეწაფებოდა თვით-განვითარებას. მის განსაკუთრებით საყვარელ საგანს შეადგენდა ფილოსოფია, რომელმაც ადრე გაიტაცა. ამ საგანმა აუხსნა მას ბევრი იმისთანა კითხვები, რომელნიც ღრმა საიდუმლოებას შეადგენდნენ მისი ტოლებისთვის, განავითარა და მოაწყურვა დაუბოლოვებელი ცოდნა, მაგრამ ვნებაც მოუტანა, რადგანაც ნაადრევმა სულიერმა საზდომ გონება დაუმძიმა, თითქოს დაახნიერა, შეაჩვია განყენებითი აზროვნებას, დააცალმხრივა, მოგლიჯა, მოაშორა ცხოვრების პრაქტიკულ მხარეს. სემინარიელების ამ საერთო სენმა ვანოს ხასიათ-მიმართულებაშიაც იჩინა თავი. მუდამ ჩუმი და დინჯი, დაღვრემილ-დაფიქრებული, მიხვრა-მოხვრაში უხერხული, ლაპარაკში მორცხვი და გონებით კი განვითარებული ვანო სამოცდა ათიან უკანასკნელ წლების ბურსელების საუკეთესო წარმომადგენელი იყო. ბურსელის ჩვეულებრივ მორცხვობით ერიდებოდა ის მშვენიერ სქესს და გარბოდა მისგან. უნდა გენახათ, რა სასაცილო და საცოდავი ხდებოდა იგი, როცა შემთხვევით ნება-უნებლიავ ლაპარაკი მოუხდებოდა ვინმე ქალ-

თან. თრთოდა, წითლდებოდა, მთელის არსებით იბლუზრებოდა, თითქოს ზურგი ექავება, მაგრამ სირცხვილით ვერ მოუფხანიაო. ბუნებით აუჩქარებელს მხოლოდ მაშინ ეკარგებოდა მოთმინება, როცა ბურსის „კავალრები“ ურცხვად ჰუბედობას დაიწყებდნენ ბულვარის „ნადირობაზე“, ყოველ ამ გვარ შემთხვევაში ვანო ისე შეუმჩნევლად გაიპარებოდა, თითქო მის დანაშაულს შეეხებაო ლაპარაკი. ვანო მეტად გრძნობიერი იყო და თან მახვილის ფანტაზიისა. საკმაო იყო გაეხსენებინათ მასთან ღარიბის შიმშილი, ან სიმართლის დაჩაგვრა, ან უდანაშაულოდ დაცემულის წამობოგინება, ან სხვა რამე ამათი მსგავსი გარემოება—და მას წარმოდგენისა გვარად ან სიბრალულის ცრემლით აევსებოდა მტრედის ფერი თვალები და ან სიამოვნების ალმურით აენთებოდა ლოყები. მთვარიანი ღამე, მიყუჩებული სასაფლაო, ტყის უსიტყვო შრიალი, უდაბური ქედები და სხვა ამგვარი იდუმალობით მოცული სურათები მის ოცნების საყვარელ მასალას შეადგენდნენ. ეს იყო ზედ-გავლენა იმ სანტიმენტალურ მოთხრობებისა, რომლებიც მას ასობით ჰქონდა წაკითხული პატარაობაში.

მაგრამ თუ ძნელად ვინმე შეამჩნევდა ვანოს ამ თვისებებს, რადგანაც ვანო განსაკუთრებით არავის უახლოვდებოდა და არ უყვარდა თავის გრძნობა-შეხედულობათა გამჟღავნება. მისი აზრი და მისწრაფება თითქმის არავინ იცოდა. მისი სარწმუნოებრივი შეხედულებაც ყველასთვის დაფარული იყო. უცვლელად, თითქოს სიამოვნებით ასრულებდა ყველა საეკლესიო წესებს, მაგრამ იმავე დროს ორაზროვანი ღიმილი უთამაშებდა სახეზედ. რა იყო ნამდვილი აზრი, შინაგანი მრწამსი ამ ღიმილისა, ამას გარეშე დაკვირვება ვერ ამოიკითხავდა.

ერთად-ერთი არსება, ვისაც ვანო სიამოვნებით უღებდა თავის გულის კარს,—ეს იყო ნინუცა, რომელსაც იგი ერთ წუთსაც არ ივიწყებდა. უგზავნიდა ქალაქიდან საინტერესო ქართულ წიგნებს, ან თვითონ წერილებით უთარგმნიდა, რასაც მისთვის სასარგებლოდ ნახავდა და რასაც ამ გზით ვერ მოასწრებდა, შინ ყოფნის დროს პირად მუსაიფში შეუსრულებდა. ამ უანგარო მზრუნველობა-ხელმძღვანელობის წყალობით ნინუცა იმდენად განვითარდა, რომ საზოგადო განათლებით არაფრით არ ჩამოუვარდებოდა თავის მეგობარ ქალებს, მეზობელ ვაჭრის ქალიშვილებს, რომელთაც საშუალო განათლების მოწმობა მიეღოთ, თუმცა კი იმათებრ სხაპა-სხუპით ვერ იყლურტულებდა უცხო ენაზედ. ამ დროს იგი უკვე ჰასაკში იყო ჩამდგარი და, როგორც ლამაზი და წარჩინებულ გვარისშვილობის სარძლო, ყოველ მხრით ჯადოსნურად იზიდავდა საქმროებს, თუმცა კი ჯერ-ჯერობით არც ერთ მათგანზე განსაკუთრებით არ ეჭირა თვალი. მხოლოდ ვანო იყო ნინუცას დაახლოვებული მეგობარი და მასწავლებელი. და თავითვე მიჩვეული მშობლები ახლაც არაფერ მნიშვნელობას აძლევდნენ ამ მეგობრობას, რომელიც იზრდებოდა არამც თუ წლობით, საათობითაც კი. თვითონ ახალგაზდებიც ცხოვრობდნენ როგორღაც ჩვეულებრივად, თითქოს ინერციულად და ნაკლებად ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა იყო მათი ურთიერთისადმი გრძნობა, მაგრამ ორნივ ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ისე საჭირო იყვნენ ერთმანეთისთვის, როგორც სასუნთქავი ჰაერი, როგორც დამათბობელი მზე, თითქოს ორივე ერთად შეადგენდენ სრულს არსებას და ცალკე კი არც ერთს არ შეეძლო არსებობა.



კავკასიის გამოფენა. საერთო სურათი გამოფენის ერთი ნაწილისა.

ასე იყო საქმე, როცა ერთ საღამოს მშობლებმა, ცოტა ოდენ თათბირის შემდეგ, გამოუცხადეს ნინუცას, რომ ამა და ამ თავადიშვილზე გათხოვებთო. ნინო შეჰკრთა, ცივი უარი განაცხადა. ყველასგან მორჩილებას და თაყვანის ცემას მიჩვეული მამა, რომელიც მხოლოდ იარაღის და კანონის ძალამ დაიყოლია ბატონ-ყმობის მოსპობაზე,—გაბრაზდა დ გაცეცხლდა ქალის ამ გვარ გამბედაობით. ორი დღე-ღამე მშიერ-მწყურვალი დაამწყვდია ნინო ოთახში, მესამე დღეს მტირალი და შეშინებული ძალით წაათრია საყდარში და ჯვარი დასწერა მახლობელ თავადიშვილზე, რომელიც ხნით მამად უფრო შეეფერებოდა ნინუცას, ვიდრე ქმრად. ნინუცა, გამანდილოსნებული ნინო, ძლივს გადურჩა ამ



კავკასიის გამოფენა.—სამეურნეო განყოფილება.

დამცირებას, ამ ველურ ძალდატანებას და მთელი თვე ლოგინად ჩავარდა.

ვანო ამ დროს ქალაქში იყო, სემინარიის უკანასკნელ კურსზედ. როცა ნინუცას გათხოვება გაიგო, ჯერ თითქოს არაფრად შეიმჩნია. „რასაკვირველია, გაუთხოვარი უნდა გათხოვდესო“—იფიქრა და კიდევაც გაუხარდა მეგობრის გაბედნიერება. მაგრამ, როცა გამოერკვა და დაფიქრდა, ნახა, რომ აქ სიხარულს ადგილი არა ჰქონდა. „ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩემს და ნინუცას შუა ვიღაცა მესამე ჩადგა“—გაუელვა თავში და ელდა ეცა. რამდენადაც უფრო აკვირდებოდა ამ „ვიღაც მესამის“ მნიშვნელობას, იმოდენად უფრო ჰგრძნობდა, რომ თითქოს თვითონ დაბლა ეშვება ცხოვრების მოედანზედ, რომ ამ გარემოებამ მას ფეხ ქვეშ ნიადაგი გამოაცალა, დაუკარგა ცხოვრების სურვილი და ჩამოაცალა საუკეთესო მისწრაფებანი. მხოლოდ ახლა მიხვდა იმ მეგობრობის ნამდვილ აზრს და დარწმუნდა, რომ მის მოქმედება-მისწრაფებათა გასაგრძელებლად საჭირო იყო სხვანაირად გათავებულიყო საქმე, ე. ი. ნინუცა მას შეერთო და არა სხვას. ვანო გახდა, დასუსტდა, ყოველისავე საქმეზე გული აუცრუვდა, უფრო და უფრო დაშორდა ამხანაგებს, ჩავარდა რაღაც ნაირ გარინდულ მდგომარეობაში და ისიც კი არაფრად ჩაუგდია, როცა მალე ამის შემდეგ ამბავი მოუვიდა, რომ მისი მშობლები სახადით დაიხოცნენ.

**ილ. შუბლაძე**

(შემდეგი იქნება)

# ს ც ე ნ ე ბ ი გ ა მ ო ფ ე ნ ა ზ ე



—არ იცით, როგორ მიდის მარკების კონტროლის საქმე ბუფეტში და კიოსკებში?

— ეჰ, ვინ იცის! გუშინ შემოვიდა 35 მანეთი; მარკების გამყიდველებზე კი დღეში 50 მანეთი იხარჯება. აი შემოსავლიანი კანტროლი თუ გნებავთ ეს არის!




— ხათაბალა თუ გინდათ ეს არის! ვიყიდე 5 მანეთის მარკები; ნახევარი დავხარჯე და მეორე ნახევარს რა ვუყო, არ ვიცი! უკან არ იღებენ, მე კი ხვალ ტფილისიდან მივდივარ.

— როგორ თუ მიდიხართ?! ეგ არ შეიძლება!

— რატომ?

— იმიტომ რომ ბუფეტისა და კიოსკების შემოსავლის კონტროლისათვის საჭიროა ყველა მარკები იქმნას დახარჯული. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ თან წაიღეთ ეს მარკები; ხომ აერევათ მაშინ ანგარიშები?! ღვთის გულისათვის არ წაჰვიდეთ.



**კამისარი ღრმა ფიქრშია.** — ბუფეტისა და კიოსკების შემოსავლის კონტროლი მოვაწყვე მარკების საშუალებით. მაგრამ, რა მოუხერხო მარკების გამყიდავთ? იმათ როგორღა ვუგდო ყური?... მოდი ასე მოვაწყობ საქმეს; დავაარსებ კიდევ ერთ კასსას, რომელშიაც ხალხი შეიძენს მარკებს მარკების საკონტროლოდ! ეს ხალხისთვისაც ხელსაყრელი საქმე იქნება და ჩემთვისაც.




—. რადგანაც საჭიროა კონტროლი დავაწესოთ გამოფენაზე, შემოღებული იქნება მარკები, რომლებიც თვალ-საჩინო ადგილზე უნდა ეკრათ გამოფენაზე მოსიარულეთ.

რედაქტორი:
ალ. ჭყონია

გამომცემელი
ალ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Сентября, 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.